მისი უწმინდესობა
კ ი რ ი ო ნ ი,

უნეტარესი და უკეთილმსახურესი კათალიკოზ-პატრიარქი ყოვლისა საქართველოისა.



თბილისი
სტამბა „სორაპანი“
ქკნსა ოგ – სა, ქრისტესით ჩშიზ წ.

მისი უწმინდესობა
კ ი რ ი ო ნ ი,

უნეტარესი და უკეთილმსახურესი კათალიკოზ-პატრიარქი ყოვლისა საქართველოისა.

თბილისი
სტამბა „სორაპანი“
ქკნსა ოგ – სა, ქრისტესით ჩშიზ წ.

მისი უწმიდესობა კირიონი.

პატრიარქის კირიონის მამა მღვდ. იერონიმე საძაგ-
ლიშვილი მისიონერად მსახურებდა მთიულეთში და თა-
ვის ღვაწლით დიდი ამაგი დასდო ოსთა გვარ-ტომს,
რომელთა შორის შეიტანა ქრისტიანული სიყვარული.
10 ნოემბერს 1855 წელს მას დაებადა ვაჟი, რომელსაც
დაარქვა გიორგი, სახელი ძლევამოსილის და საქართვე-
ლოს მფარველის წმ. გიორგისა, და მით თითქო წინა-
სწარ აღნიშნა, რომ ახალ-დაბადებული ყრმაც სამშობ-
ლო საყდრის განთავისუფლებისათვის თავის თავზე გადი-
ტანს ისეთსავე ტანჯვა-წამებას, როგორიც გადიტანა
ქრისტეს დიდებისათვის მისმა სეხნიამ წმ. გიორგიმ. სი-
ღარიბეში მყოფმა მოძღვარმა თავისი 7–8 წლის შვილი
მიაბარა სასულიერო სასწავლებელში, რომელიც გიორგიმ
დაასრულა 1876 წელს პირველ მოწაფეთაგანმა. კიევის
სასულ. აკადემიის დასრულების შემდეგ 1880 წ. გიორგი
საძაგლიშვილი ოდესის სემინარიის ინსპექტორის თანაშემ-
წედ დაინიშნა. 1883 წელს სამშობლოში დაბრუნდა და
თელავის სასულიერო სასწავლებელში გამწესდა. შემდეგ
მსახურებდა გორისა, ქუთაისისა და ტფილისის სასულ. სა-
სწავლებლებში და აგრეთვე აქაურ ქალთა საეპარქიო სასწავ
ლებელში. ცოლშვილის სიკვდილის შემდეგ 1896 წ.
წ აღიკვეცა ბერად და ჩაიბარა ქვაბთახევის მონასტრის წი-
ნამძღვრობა. 1898 წ. აკურთხეს ეპისკოპოსად ალავერდის
კათედრაზე, 1901 წ. გორის ეპისკოპოსად დანიშნეს.

ცხოვრებაში გამოსვლისათანავე კირიონი მთელ თა-
ვის ძალღონეს ანდომებდა სამშობლო. ეკლესიის წარსუ-
ლის კვლევა ძიებას და ზრუნავდა მის აყვავებისათვის.
1901 წლიდამ იწყება ეპ. კირიონის არაჩვეულებრივი
დევნა რუსის სასულიერო მთავრობის მიერ, ადგილიდან
ადგილზე გადაყვანა და შევიწროვება. ეპ. კირიონს 1902
წ. კამენეც-პოდოლის ეპარქიაში გზავნიან, აქედან 1903
წელს ხერსონში, 1904 წ. ორიოლის ეპარქიაში გადაჰყავთ,
1906 წ. სოხუმის ეპარქიაშია, ხოლო 1907 წ. 27 იანვარს
კვლავ ციო რუსეთში–კოვნოს ეპარქიაში ისტუმრებენ, საი-

დანაც ზამთარში 1908 წ. სულ მთლად ითხოვენ უეპარ-
ქიოდ. აქედან ეპ. კირიონის ნამდვილი წამება იწყება.

პირველად უადგილოდ დატოვებული ეპისკოპოზი
ჟანდარმების თანხლებით კურიაჟის მონასტერში (ხარკო-
ვის გუბერნიაშია) გაგზავნეს. აქედან იანვარში ავადმყო-
ფი ეპისკოპოზი ჟანდარმებმა მოსკოვის გზით სანაქსარის
უდაბნოში მიიყვანეს, აქ იგი ციო-ნოტიო. ოთახში მოა-
თავსეს და გადაცმულნი პოლიციელნი მიუჩინეს თვალ-
ყურის საგდებლად.

რუსეთის თვითმპყრობელ მთავრობას ეპ. კირიონი
ნიშანში ჰყავდა ამოღებული და არავითარ ცილისწამებას

არ ერიდებოდა მის დასაღუპავად და საქართველოს ექ-
ზარხოს ნიკონის მკვლელობაში მონაწილეობაც-კი დას-
წამეს. ამგვარმა ცილის-წამებამ, როგორც საქართველო,
ისე დემოკრატიული ნაწილი რუსეთის საზოგადოე-
ბისა აღაშფოთა როდესაც ამ ცილისწამების შესახებ
პრესის წარმომადგენელნი ევ. გეგეჭკორს (მაშინ სახელ-
მწიფო სათათბიროს დეპუტატად იყო) შეეკითხნენ, მან
უპასუხა: „ეს ველური და შეუსაბამო ბრალდებაა. ბრწყინ-
ვალე პიროვნება ეპისკოპოს კირიონისა მის მტერთ მო-
სვენებას არ აძლევს მის სახელს რომ ჩირქი მოსცხონ,
საშუალებას არ ზოგვენ. ეპ. კირიონი ქართველ სამღვ-
დელოებაში თვალსაჩინო პიროვნებაა, ერთი საუკეთესო
მებრძოლთაგანია ავტოკეფალიისათვის, რასაც სინოდშიაც
გაბედულად იცავდა; ყველა ამას მთავრობა ვერ დასთ-
მობდა და დევნა გამოუცხადა“ . ამ დევნამ ისეთი მწვა-
ვე ხასიათი მიიღო, რომ ბელგეთიდგან „ადამიანის უფ-
ლების დაცვის ლიგის“ თავმჯდომარემ, დეპუტატმა ჟორჟ
ლორანმა ბრიუსელიდან) 10 მარტს 1909 წელს ყოფილ
სახელმწიფო სათათბსროს თავმჯდომარე ხომიაკოვს სთხო-
ვა დაეცვა ეპ კირიონის პიროვნება წამებისაგან, მაგრამ
ვერც საზღვარგარეთის და ვერც შინაურმა გამოსარჩ
ლებამ ვერ შეუმსუბუქა ეპ. კირიონს ტანჯვა.

სანაქსარის უდაბნოდან ქერსოვნეთის მონასტერში
გაგზავნეს, სადაც 1915 წლამდე დაჰყო.

უკუღმართმა პირობებმა და დევნა-წამებამ ეპ. კი-
რიონის ენერგია ვერ გასტეხა, სამშობლოს სიყვარული
გულიდგან ვერ ამოუშალა. თვის გვარ ტომს მოწყვე-
ტილმა მეცნიერულ კვლევა ძიებას მიჰყო ხელი.

1915 წელს ეპის. კირიონს ეპარქიის მმართველო-
ბის უფლება დაუბრუნეს და პოლოცკის და ვიტებსკის
ეპარქია ჩააბარეს, სადაც ამ უკანასკნელ თვემდე მსახუ-
რებდა, მაგრამ სამშობლოს ნახვის ნება მაინც არ ჰქონდა.
ეპ. კირიონი ერთ უხვ ქველმომქმედად ითვლება.
მისი დახმარებით მრავალ ქართველ ყმაწვილს მიუღია
უმაღლესი სწავლა, როგორც რუსეთში, ისე საზღვარ-
გარეთ.

მრავალ-წლობით შეძენილი თვისი ძვირფასი ნუმიზ-
მატიური კოლექცია და წიგნთსაცავი ეპ. კირიონმა ქართულ
საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შესწირა,
ამას გარდა, სოფ. ქვემო-ნიქოზის „კირიონის სახელობის
სამკითხველოსაც“ წიგნები ბევრი შესწირა პეტროგრადის
სასულიერო აკადემიაშიც ეპ. კირიონის შეწირულობით
ქართულ ბიბლიოთეკას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

სამშობლოში მყოფობისას ჩინებულად მოაწყო სა-
ეკლესიო მუზეუმი, გაამშვენიერა შუამთა, ალავერდი,
ნგრევისაგან იხსნა არა ერთი ძეგლი. სინოდის წინასწარ
კრებაზე უშიშრად იცავდა საქართველოს ავტოკეფალიას.

ჩვენი პატრიარქი კირიონი, ვიმეორებ, ცნობილია არა მარტო ტანჯვა-წამებით, არამედ მეცნიერებითაც. ამ მხრივ მას დიდ პატივით ეპყრობიან როგორც ჩვენი მემამულე უდროოდ დაღუპული თამარაშვილი, ისე ბევრი სხვა სწავლულები. სხვათა შორის პროფ. გლუბოკოვსკიმ „ღვთისმეტყველების ენციკლოპედიაში“ კირიონს უძღვნა რამდენიმე კაბადონი. (ზოგი რამ ამ წერილისთვის ამოვიღეთ „სახ. საქმიდამ“ № 55, ორიოდე მუხლი აგრეთვე ჩვენდამი მომართულ ვას. პატარაშვილის წერილიდამ ეპიგრაფით: „ბავშვმაც-კი იცის ვინ არის კაკო“).

ვურთავ აქვე ჩვენს წერილს „ორი კირიონი“, რომელიც დავბეჭდეთ გაზ. „საქართველო“-ს № 65-ში.

ორი კირიონი

პირველი ეკურთხა საქართველოს კათოლიკოსად 575 წელს.

მტკიცე ხასიათის კაცი იყო, მტკიცე რწმენისა, სამშობლოს კეთილდღეობისთვის თავდადებული.

მის კურთხევით მამადმთავრად საქართველოს საყდრის საჭე ხელში ჩაუვარდა ისეთ დიდებულ კაცს, რომელიც, რა გინდ დიდი ქარიშხალი ამოვარდნილიყო, თავის ხომალდს უვნებლად გამოატარებდა სცილასა და ხარიბდას შუა, შემმუსვრელ კონცხებს არ დააწყვეტებდა მას. თუ არ ეს დიდნიჭიერი წინამძღოლი და ხელოვანი მეხომალდე, ვინ იცის, რა დაემართებოდა არა თუ საქართველოს საყდარს, არამედ ჩვენის სამშობლოს მომავალსაც!..

ქიშპობა ბერძენთა და სპარსთა შორის დაპყრობისათვის სომხეთისა დასრულდა 433 წელს სომხეთის მეფობის მოსპობითა და მის გაყოფით სპარსთა და ბერძენთა შორის.

ამის შემდეგ გაჩაღდა ბრძოლა თვით სომეხთ სარწმუნოების გამოც.

სომხები ერთმორწმუნენი იყვნენ ბერძნებისა და ქართველების. ბერძნებს სურდათ ასეთებად დარჩენილიყვნენ კვლავაც, სპარსელები კი მოწადინებულ იყვნენ როგორმე გამოეცალკევათ სომხები ბერძნებისაგან. 451 წელს ქალკიდონის კრება გაიმართა. თან საქრისტიანოში გამრავლდა სხვა და სხვა მწვალებლობა. ყაენი ფირუზ [457–484] წინადადებას აძლევდა სომხებს, ან ნესტორის მწვალებლობა მიიღეთ ან იაკობიტთაო, თუ არა. და მწირობა არ აგშორდებათო. იძულებულ იყვნენ განდგომოდნენ ქართველ-ბერძნებს და იაკობიტთა სწავლაზე მიქცეულიყვნენ.

ამის შემდეგ მათ შეღავათით ეპყრობოდნენ სპარსთა დესპოტები, ხოლო ქართველებს, რომელნიც ბერძნებთან ერთად იყვნენ, სისასტიკეს არ აკლებდნენ. ერთხანს ქართველებს მეფის არჩევაც აუკრძალეს, მაგრამ ეს დასრულდა ქართველების გამარჯვებით: სპარსეთის ამბოხება შეიქმნა მიზეზად კეისარს დაეთანხმა მის მიერ დავალებული ყაენი ქართველების-

თვის მიეცა ნება ამოერჩიათ თავისთვის მეფედ გურამ ბაგრა-
ტიონი [ჩვენით – 590 წელს].

სწორედ ამ დროს მაკურთხევლობდა მეფურივე კაცი კი-
რიონი, რომელიც, ჩვენის ფიქრით, უნდა ყოფილიყო უმთავ-
რესი მოქმედი თვით გაუქმებულ მეფობის აღდგენის საქმეში.
სომხის კათოლიკოსებს სურდათ კირიონის გადაბირება,
მაგრამ იგი ურყევად იდგა და უპასუხებდა მათ: ჩვენ ვერ გა-
ვეყრებითო იმ მსოფლიო საყდარს, რომელიც სუფევსო სა-
ბერძნეთს, რომს, იერუსალიმს, ანტიოქიას, თქვენ უღალატე-
თო წმიდა სარწმუნოებას, რომელიც წინად საერთო გვქონდაო.
ჩვენს საკათალიკოზოში 35 ეპისკოპოსიაო და ყველამ აღვია-
რეთო ქალკიდონის კრების დადგენილებანი.

კირიონს, როგორც სჩანს, არ სურდა მიჰკედლებოდა
აღმოსავლეთის დახავსებულობას, არამედ იგი ეტრფოდა ელ-
ლინ-რომაელთა ძველადგანვე წარჩინებულ კულტურას და
მათთან იჭერდა საქმეს. ერთი კითხვის გადასაწყვეტად მან
პაპ გრიგოლ I-ლსაც მიჰმართა და მისგან მიიღო შესაფერი
პასუხი 596 წელს [თამარაშ. ისტორია კათოლ. 26] თვისს
სამწყსოს ისე უვლიდა, როგორც ერთგული დედა შვილებს.
სომხების კათოლიკოსებს სურდაო გაეტაცნათ ცურტავის სა-
ეპისკოპოსო, მაგრამ კირიონმა შემოიმტკიცა და შემოიმაგრა.
ქართველ-სომეხთა ბრძოლა დასრულდა მით, რომ
სომხების კათალიკოს აბრამმა გასცა ასეთი არა-ქრისტიანული

ბრძანება: ამიერიდგან აღარა გქონდეთ ერთობა ქართველებ-
თან, არც ლოცვაში, არც ჭამა-სმაში, არც მეგობრობაში, არც
ყრმათა აღზრდაში, აღარც წახვიდეთ მოსალოცად მცხეთისა
და მანგლისის ჯვარისა, აღარც შემოუშვათ ისინი ჩვენს ეკლე-
სიებში, მათთან შექორწინებისაგან განეყენენით, ნება გეძლე-
ვათ მათთან ივაჭროთ, ვით ურიებთან“.

ამანაც ვერა დააკლო-რა საქართველოს. პირიქით, კი-
რიონის ნათელ პიროვნებას აუარებელ მტრებთან ბრძოლამ
უმეტესი სიყვარული და პატივი მოუპოვა აღმოსავლეთ-დასავ-
ლეთში მან შეჰქმნა ის ერთობა, რომელზედაც თანდათან
აღმოსცენდა საქართველოს ცნობილი ძლიერი სასულიერო და
სახორციელო კულტურა, დამყარებული ისეთ დედაბოძზე, ვით
გრიგოლ ხანძთელი, მიქელ მოდრეკილი, ეფთვიმე და გიორგი
მრაწმინდელები, იოანე შავთელი, შოთა რუსთაველი, არსენი
ბულმა სიმიძე და სხ.

ამნაირივე სიმტკიცის ხასიათისაა მისი ყოვლად უსამღვ-
დელოესობა ეპისკოპოსი **კირიონი.**

მას უფრო ძნელი დრო შეხვდა ვიდრე პირველ კირიონს.

პირველის ჟამს ეკლესია თავოანი იყო. 35 მაკურთხევე-
ლი ჰყვანდა. თავისუფალი იყო. ყველასაგან პატივცემული.

ყველა ამისაგან ახლა შერჩა მას მხოლოდ ორიოდე მა-
კურთხეველი და დანგრეულ-გაოხრებული საყდრები, მტირალი
ქურმუხი, მწუხარე ნეკრესი, ჭერემი, ანანური, სამთავისი,
წილკანი, ატენი, იკორთა, ურბნისი, რუისი, კუმურდო, ზარ-

ზმა, გელათი, ონი, ცაგერი, ცაიში, ბედია, სუხუმი, შემოქმე-
დი, ტბეთი, ხახული, საფარა და მრ. სხვა წმ. ადგილები სა-
ცა ოდესმე ქართულ სკოლებს სინათლე შეჰქონდათ სიბნელეში.

საჭირო შეიქმნა ზრუნვა დედა-ქალაქ მცხეთას დაჰბრუ-
ნებოდა ის, რაც მას ეკუთვნოდა საუკუნოობით და რაც შა-
რავანდედით შეჰმოსავდა ქართველთა საყდარს, ნგრევა-ოხრე
ბისაგან გადაარჩენდა ხელოვნების მხრივ მრავალ საკვირველ
ძეგლს და დაღუპვისაგან იხსნიდა მრავალ უძვირფასეს სამწერ-
ლო ნაშთს – წიგნს. ეს ზრუნვა-გარჯა კირიონს ჩამოერთო
არსებულ წეს-წყობილების მტრობად, ხოლო მტრობამ ხომ
დანდობა აღარ იცის. ერთად მომუშავენი საეკლესიო მუზე-
უმში გაგვყარეს. ის გადაასახლეს, აუტანელი მწირობა აგემეს
და კაცის კვლაც კი კინაღამ დასწამეს. ჩვენ კვლავ ერთად
შევიყირენით, მაგრამ... „ისტორიჩესკი ვესტნიკის“ ფურც-
ლებზე.

ბ-ნ ა. მოშჩანსკიმ, რომელმაც პირად ჩემგან და ჩემ ნა-
წერებიდამ მრავალნაირად სარგებლა ხსენებულ ჟურნალში
[№ 3, 1911, გვ. 1046 – 8], გამოაცხადა:

„სიონის მუზეუმი ბევრნაირად დავალებულია ეპისკ. კი-
რიონისაგან, რომელსაც არა-სასიამო სახელი გაეთქვა ეკზარ-
ხოსის ნიკონის მოკვლის საქმით. იგი იყო დიდი მოყვარე და
მცოდნე საეკლესიო სიძველეებისა, ბეჯითად აგროვებდა მათ
ყველა ქართ. ეკლესიებიდამ და უგზავნიდა სიონის მუზეუმს.
მცხეთის საკრებულოს მღვდელი მწარედ შემოგვჩიოდა ამ ეპ.
კირიონზედ მისთვის, რომ მან ამ ეკლესიიდამ გამოიტანაო
ძველი გარდამოხსნა და წარგზავნაო ტფილისს. იქ, მართლაც,
ჩვენ ვნახეთ ის გარდამოხსნა. მაგიერად ბ-ნი ჯანაშვილი კი-
რიონს იგონებს დანანებით [ვსპომინაეტ ნე ბეზ სოჟალენია].
ყველას, როგორც სჩანს, ვერ ესათნოები...“

ყველა ესეთი გადაკვრ-გადმოკვრა რომ იოტის ოდენადაც
მართალი ყოფილიყო, არა თუ „ნიკონის მოკვლის საქმით
რა-სასიამოვნოდ ცნობილ კირიონს“, არამედ მის „დანა-
ნებით“ მომგონებელ ჯანაშვილსაც სახჩობელა თუ ციმ-
ბირი არ ასცდებოდათ. მაგრამ რახან ტყუილს მუდამ მოკლე.
ფეხები აქვს, ამიტომ კირიონს ხანგრძლივ - ტანჯვის შემდეგ
მტანჯველებისაგანვე ეღირსა ჩინებული კათედრები, მაგრამ არა
მის საყვარელ სამშობლოში, საცა მას შეეძლო აუარებელი
სარგებლობის მოტანა ღვიძლ მოძმეთათვის, არამედ შიდა
რუსეთში...

აწ უკვე აღსრულდა ქართველთა მოლოდინი, დღეს უკვე
მცხეთის სამამადმთავრო ტახტს ამშვენებს მისი უწმიდესობა
კირიონი, უნეტარესი და უკეთილმსახურესი კათალიკოს-პატ-
რიარქი ყოვლისა საქართველოისა. ვისურვოთ წარემართოს
ჩვენს პატრიარქს საშარავანდედოდ სვეტიცხოველისა, რომლის
წიაღში ეპ. ანტონის სამაგალითო თაოსნობით ჩვენ განვიცა-

დეთ 12 მარტის აკტის ძლიერება, დიდის საყდრისა, რომლის ფრთეთა ქვეშე საუკუნეთა განმავლობაში გამოიზარდა „ერი გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა“, ერი, რომელსაც შავთა დროთ ვერ შეუცვალეს გული ანდამანტისა“ და რომელიც დღესაც, როგორც მარადის, იგივ მხნეა, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა“.

იყავნ ჩვენ შორის ძმობა, სიყვარული, დაუძინებელი რუდუნება არა კლერიკალობის გაღვიებისთვის, არამედ ქართველ ნიჭიერ ერის საერთო აღორძინებისა და დიდებისთვის.

მ. ჯანაშვილი.